ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 251
1877

ივერია

№ 251
1903

ნოემბერი 25, სამშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ნოემბერი 25 ,სამშაბათი 1903 წ.

რედაქციისაგან

უმორჩილესად ვსთხოვთ იმ ხელის მომწერთ, რომელთაც გაზეთის ფული სრულად არ შემოუტანიათ, დააჩქარონ ფულის შემოტანა.

პირველ ნოემბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 2 მან. 75 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

მ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აქვიდამ

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მუქთად** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიე ფასად.

მოსწავლ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

წარმოდგენა № 23. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

სამშაბათს, 24 ნოემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

გ. სვიმონიძის საბენეფისოდ

ოტელლო

ტრაგ. 5 მოქმ. შექსპირისა, თარგ. ი. მაჩაბლისა

ახალი ტანისამოსი მოსესიანის სახელოსნოდან, დეკორაციები ნოვაკიდან.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე, ნ ჯავახიშვილისა; ბ-ნნი: გ. გუნია, გ. ბედევანოვი, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, გ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, საფაროვი, კ. ყიფიანი, გ. შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მზადდება წარმოსადგენად: „ხალხის მტერი“ ანუ ექიმი შტოკმანი.

რეჟისორი **აკაკი**

ქართული თეატრი

ანონსი

მოკლე ხანში დაიწყება გასტროლები

(პირველად ტფილისში)

სრულის დასით

ვენელთა ოპერეტისა

(შესანიშნავის ანსამბლით ვენის საიმპერატორო-სამეფო „კარლ-თეატრისა“).

დირექცია გ. ნ. შულცისა და ჰენრ. ცელდერისა.

სულ გაიმართება მხოლოდ 7 წარმოდგენა

დაწვრილებითი ცნობები ამ დღეებში იქმნება გამოცხადებული ცალკე აფიშებით.

დირექცია: გ. ნ. შულცი და ჰენრ. ცელდერი.

(2—6.—1)

გამოვიდა და იყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში», „გუტენბერგის“ სტამბაში და ქუთაისს მ. ლაღიძესთან

ორი პუბლიცისტიური წერილი

თ-დის აკაკი წერეთლისა.

ფასი ორი შაური.

(10—8)

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნაკი

კრება ანუ ბიბლიოთეკის დაარსება

სატირა-პოემა კ. მაყაშვილისა

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში ქალაქში, ქუთაისში და ბათომში და სხვ.

ფასი ორი შაური.

10—5.

ექიმი

ვ. დ. ლამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოოზის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯიჯინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მალალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მალალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ. ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირდღეებს გარდა.

დილაობით:

ხ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დ ლის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

ზ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი

დღეს, 25 ნოემბერს, ქართულ თეატრში დანიშნულია ბენეფისი არტისტის ს. სვიმონიძისა, რომელიც თხუთმეტი წელიწადია იღწვის ქართულ სცენაზედ. წარმოადგენენ შექსპირის ტრაგედიას «ოტელლო», რომელშიაც მობენეფისე იაგოს როლს შეასრულებს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა განმარტა, იმათ, რომელნიც რკინის გზის სამსახურიდგან გადიან სამხედრო ბეგრის გადასახდელად, არავითარი შემწეობა არ მიეცემათო. სამხედრო ბეგრის გადახდის შემდეგ-კი მიღებულ იქმნებიან, თუ მათი ადგილი თავისუფალი იქმნება და სამსახურის დროს არაფერში იქმნებიან ცუდად შენიშნულიო.

დღეს, 25 ნოემბერს, კავკასიის სამხედრო შტაბის სადგომში, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების წევრთა.

კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებამ აირჩია უკანასკნელ თავის კრებაზედ საგანგებო კომისია, რომელსაც მიანდო საზოგადოების საკუთარ შენობის აგების შესახებ პროექტის გადასინჯვა. პროექტით შენობის აგებას მოუნდება 7,000 მანეთი. ამ საქმისთვის სამკურნალო საზოგადოებას უკვე აქვს 3,000 მანეთი, დანარჩენ 4,000 მანეთის შეკრებას ხელის მოწერით აპირებს.

ტფილისის მაზრაში, სოფელ სადოიაშენის მახლობლად გაჩენილა საქონლის ჭირი. ამ ავადმყოფობის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად გაგზავნილ იქმნენ ბეითლები.

ქალაქს დიდძალი საქონელი დაჰხოცია ჭირით გასულ წელს. ამ ზარალის დასაფარავად ტფილისის ბეითალთა სამართველომ 2,400 მანეთი მისცა ქალაქს.

ამ ჟამად ყურადღება მიაქციეს გორის ხიდის დაცვას. ყოველ გაზაფხულზე წყალი ისე არყევს და, ზოგჯერ, ერთიან ანგრევს ხიდს, რომ გორი რამდენისამე ხნით ჩამოშორებულია ხოლმე სხვა ქალაქებს. ახლა განუზრახავთ, მტკვრის მარცხენა ნაპირი კარგად გაამაგრონ... ამ საქმეს სულ სჭირდება 25.000 მანეთი. 20 ათასი მანეთის დახარჯვა უკისრია ერობას, 5 ათასისა-კი რკინის გზას, რომელსაც ცოტა ზარალი არ მოსდის ხოლმე ხიდის წაღებით. ქვას რკინის გზით ჩამოიტანენ ბორჯომიდგან.

1904 წლიდგან აფთიაქში შეგირდებად მიიღებენ მხოლოდ იმ ყმაწვილ კაცებს, რომელთაც სწავლა დამთავრებული ექმნებათ სახალხო განათლების სამინისტროს გიმნაზიებში.

ხუთშაბათს, 20 ნოემბერს, საღამოს მატარებლით ქუთაისის პირველ გიმნაზიის მთავრობამ უფროსის კლასების მოწაფენი სამოგზაუროდ წაიყვანა. ექსკურსანტებმა ინახულეს ბათომი და ქუთაისი და მესამე დღეს დაბრუნდნენ ტფილისში.

კავკასიის ექიმთა მეორე კრებამ აირჩია კომიტეტი, რომელსაც მიანდო მესამე კრების მოწვევის შესახებ პროექტის შედგენა. კომიტეტმა უკვე დაასრულა მუშაობა და შემუშავებული პროექტი წარუდგინა კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებას. საზოგადოებამ აირჩია სარევიზიო კომისია და მიანდო კომიტეტის საქმეების გადათვალიერება და შესწორება, თუ საჭირო იქმნება.

ამას წინად ხმები გავრცელდა, სართა ქალისა და მარტყოფის მახლობელ სოფლებში საქონლის ჭირი გავრცელდა, მაგრამ მცხოვრებნი არ ამჟღავნებენ, რადგან ეშინიათ საქონელი არ დაგვიხოცონო. ამ აზრით ტფილისის გუბერნიის ბეითალთა ინსპექტორმა ხსენებულ სოფლებში საქონლის ჭირის გამოსაკვლევად გაჰგზავნა ბეითალი ბ-ნი დედაბრიშვილი, რომელსაც პოლიციაც დაეხმარება სოფლებში სიარულის დროს.

ამ დღეებში ტფილისში მოელიან ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწეს ინჟინერ რახმანინს, რომელიც დანიშნულ იქმნა ი. ს. შაიკევიჩის მაგივრად.

ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის ვალი მართებია ტფილისის სხვა-და-სხვა დაწესებულებას, მათ შორის ქალაქის პირველ დაწყებით სკოლებს. სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, დაგვეხმარეთ ვალის აღებაშიო... სასწავლებელს რამდენიმე ათასი მანეთი ჰქონია გავალებული.

ვაჟთა პირველ გიმნაზიის მოწაფეთა ერთი ნაწილი 20 ნოემბერს გაემგზავრა ყარსის რკინის გზით სოფელ სანაინისაკენ. მოსწავლეთ, სხვათა შორის, ინახულეს ალავერდის ქარხანა, სადაც თუჯს ამზადებენ.

იმ შენობაში, რომელიც უნდაააგოს კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებამ, მოთავსებულ იქმნება სამკითხველო ა. ს. პუშკინის სახელობაზე. სამკიო ხველოში შესვლა უფასო იქნება.

კვირას, 23 ნოემბერს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროს მ. ა. კარპოვს, რომელიც გადაყვანილ იქმნა ზაბაიკალის რკინის გზაზე, თანამსახურთ „ვეტცელის“ სასტუმროში გაუმართეს გამოსათხოვარი სადილი, რომელსაც ასი კაცი დაესწრო.

ოთხშაბათს, 26 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია საქმე მღვდლის კვანჭახაძისა და დიცელებისა. როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, მღვდელი უჩივის თავისს მრევლს, მრევლი ჩემს შრომაში სასყიდელს სავსებით არ მაძლევსო.

ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა რწმუნებულთა კრება იყო დანიშნული 20 ნოემბრისათვის. კრება არ შესდგა, რადგან არ გამოცხადდა თავმჯდომარე, მდაბიო მოქალაქეთა მოურავი ბ-ნი ბუღდანოვი.

მთავრობამ მისცა საეპარქიო საბჭოს 3,000 მანეთი ხარფუხის სამრევლო სკოლისათვის სადგომის ასაგებად.

26 ნოემბერს კრება ექმნება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მიერ არჩეულ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ღონისძიებათა შემუშავება. ამ დღეს კომისია გადაათვალიერებს არსებითად თავისს შრომას და შემდეგ წარუდგენს სამეურნეო საზოგადოებას.

კავკასიის შინა მრეწველობის ნაწარმოებთა შეკრება და ამერიკაში სან-ლუის საერთაშორისო გამოფენაზე გაგზავნა დაევალა შინამრეწველობის კომიტეტის მდივანს ბ-ნს ფირალოვს. კავკასიის განყოფილება საერთა შორისო გამოფენაზე სან-ლუიში მოეწყობა რუსეთის პავილიონში.

გუშინწინ, 23 ნოემბერს, ტფილისიდგან თელავს წავიდა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია. სესიის სხდომები გასტანს 29 ნოემბრამდე.

ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის გამგეობა თურმე აპირობს მოსწავლეთათვის ფორმის ტანისამოსის შემოღებას. სასწავლებლის გამგეობას უკვე შეუმუშავებია ერთნაირი ფორმა.

შაბათს, 22 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელის თავ. ხილკოვის თანდასწრებით სხდომა ჰქონდა სან-ლუის საერთაშორისო გამოფენაზე კავკასიის განყოფილების მომწყობელ ბიუროს. ბიურომ განიხილა მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორის წესით მოაწყონ სან-ლუის გამოფენაზე კავკასიის განყოფილება. გამოითქვა ის აზრი, რომ, კავკასიის განყოფილების ასავსებად, ექსპონატების გაგზავნის დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმ ნაწარმოვებთა, რომელნიც ჩვენის ქვეყნიდან გააქვთ ამერიკაში, მაგალ. მატყლი, ბამბა, აბრეშუმი, ღვინო და სხ. ბიურომ დაადგინა: ეთხოვოს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, გაგზავნოს წარმომადგენელი კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეებში ადგილობრივ ნაწარმოებთა ნიმუშების მოსაკრებად ექსპონატებისათვის. ნიმუშები უნდა მოიკრიბოს, სხვათა შორის, შინად-მრეწველობისა, მატყლეულობისა, ბამბისა, ყელისა; ბიურომ დაადგინა აგრეთვე, ეთხოვოს კავკასიის სხვა-და-სხვა ფირმებს გა-

მოუგზავნონ ბიუროს თავიანთ ნაწარმოებთა ნიმუშები ამერიკაში გასაგზავნად. ბიურომ დაადგინა აგრეთვე ხე-ტყის ნიმუშების მოკრების დროს დასახმარებლად მიჰმართოს კავკასიის მიწად-მოქმედების ინსპექტორს ბ-ნ ვასილიევს. რაც შეეხება კავკასიის ღვინის ნიმუშების მოკრებას, ბიურომ დაადგინა მიჰმართოს თხოვნით არსებულ სავაჭრო ფირმებს, დეკემბრის შუა რიცხვებამდე მიაწოდონ ბიუროს თავიანთ ღვინოების ჰაშნიკები. ექსპონატები ბიურომ უსათუოდ დეკემბრის ბოლო რიცხვებამდე უნდა მოკრიბოს, რომ პირველ იანვრიდან უკვე შეიძლებოდეს გაგზავნა ამერიკაში გამოფენაზე.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უკან შესასწორებლად დაბრუნებული კავკასიის ბეჭდვითის საქმის მოღვაწეთა საურთიერთო დამხმარებელ ამხანაგობის წესდების პროექტი ამ დღეებში კომისიას განუხილავს, შეუსწორებია და ისევ წარუდგენია მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

⁂ 21 ნოემბერს, დიდუბეს ზემოდ, მტკვრის პირად ნახეს დამხრჩვალ კაცის გვამი. როგორც ეტყობა, კაცი ჯერ მოუკლავთ და შემდეგ წყალში გადაუგდიათ. ტფილისის მაზრის უფროსის თანაშემწის ე. გუგუშვილის გამოძიებით გამოირკვა, რომ ეს კაცი ტომით სპარსელია, რომლის ვინაობა ჯერ არ იციან, მუშაობდა ს. მცხეთაში. მასთან უსიამოვნება ჰქონია ერთს მის ამხანაგს და, როგორც ეჭვი აქვთ, იმას უნდა მოეკლას და შემდეგ წყალში გადაეგდოს. პოლიცია შეუდგა გამოძიებას მოკლულის ვინაობის გაგებისა და ბოროტმოქმედის აღმოჩენისათვის.

—

შეცდომის გასწორება. აკაკის ლექსში „გამოთხოვება“ ორი შეცდომა მოგვსვლია. ერთგან დაბეჭდილია: არ ამტკიცებ... უნდა იყოს: არ გამტყუნებ. მეორეგან: გენეია, უნდა იყოს: გეენია.

ქუთაისის ქალაქის საბჭო.

17 ნოემბერს მოხდა მორიგი კრება ქუთაისის საბჭოსი, რომელზედაც დაესწრო ოცზედ მეტი ხმოსანი. ალბად საინტერესო რამ საგნები უნდა ყოფილიყო დანიშნული ამ საღამოს გასარჩევად, რომ ამდენმა ხმოსანმა მოიყარა თავი. მართლაცა და, რომ გადავათვალიერებთ სია განსახილველ საგნებისა, აღმოჩნდება, რომ იმ ღამის კრება ძრიელ საინტერესო იყო და ბევრ კამათსაც გამოიწვევდა, მაგრამ ხმოსნები როგორღაც ვერ იყვნენ ლაპარაკის გუნებაზედ და სხდომა გათავდა საათნახევრის განმავლობაში. განსახილველად იყო დანიშნული შემდეგი საგნები: 1) წინადადება ქუთაისის გუბერნატორისა ჟანდარმების სახლის ქირის მომატების თაობაზედ; 2) მისივე წინადადება პოლიციის ცენტრალურ ნაწილის სამმართველოსთვის ახალ ბინის დაქირავების შესახებ; 3) ყასბთა თხოვნა ნიხრის მომატების თაობაზედ; 4) მოხსენება ქალაქის გამგეობისა, რომ რკინის გზის გამგეობა უჩივის ქალაქს 15 ათას მანეთამდე; 5) მოხსენება ქალაქის გამგეობისა შესახებ საჩივრისა ქალაქსა და ხაზინას შუა ზედა ქვიტირის გამიჯვნის გამო; 6) მოხსენება ქალაქის გამგეობისა შესახებ უძრავის მამულის შეძენისა მომავალ ქიმიურ ლაბარატორიისათვის; 7) მოხსენება გამგეობისა შესახებ პოლიცმეისტრის სადგომის შესავალის (ПОДЪѢЗЪ) აშენებისა, ნაცვლად «კალანჩისა», რომელიც ეხლახან დაანგრიეს და 8) მოხსენება გამგეობისა და საბჭოს საგანგებო კომისიისა, რომ გაუქმებულ იქმნას ა. დ. მიხაილოვის და ამხ. პირობა ქალაქთან ელექტრონის ტრამვაის გაკეთების შესახებ ქუთაისში. გარდა ამისა რამდენიმე წვრილი საგანი იყო დანიშნული გადასაწყვეტად.

პირველი წინადადება ბ-ნ გუბერნატორისა ვერ დააკმაყოფილეს საშუალების უქონლობისა გამო, ხოლო მეორე უარ ჰყვეს, რადგანაც დღევანდელ პოლიციის ნაწილის მმართველობის ბინა არის ნაქირავები ხუთის წლით და ორი წელიწადი კიდევ დარჩენილია ვადა. არც ხელ-ჩასაჭიდი რამ მიზეზი აქვს ქალაქს, რომ პირობა დაარღვიოს. ყასბების თხოვნა დააკმაყოფილეს და ნიხრი მოუმატეს მომავალ ქრისტეშობისთვის პირველ რიცხვიდან გირვანქაზედ თითო კაპეიკი.—

აქ არ შემიძლია არ ვსთქვა ის, რაც არ ერთხელ თქმულა თუ საბჭოს კრებაზედ და თუ გაზეთების საშუალებით, მაგრამ ყოველთვის დარჩენილა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ჩვენს ყასბებს ყოველთვის თავიანთი ნიხრი აქვთ და თავიანთი წეს-რიგი. გინდ დაუკლეთ ნიხრს და გინდ მოუმატეთ, მათთვის სულ ერთია, მაინც ყოველთვის მეტს იღებენ; ან რა ძალა გაქვთ, რომ მეტი არ მისცეთ! თქვენს ნებაზედ ხორცს ვერ იშოვნით და მარხულობას ისევ მეტის გადახდა გირჩევნიათ. ხორცი უნდა იყიდებოდეს ხარისხობით, ფასებიც ისე არის დადგენილი. პირველ ხარისხის ხორცი უნდა იყიდებოდეს «უძვლოთ», მაგრამ ვის გაუგონია ქუთაისში ხორცის ყიდვა, რომ გირვანქაზედ ნახევარ გირვანქა მაინც „დავესკა“ არ იქმნას. თუ ვისმე შესჩივლეთ, მაშინვე მოგახსენებენ, ბაზრის ზედამხედველს მიმართეთ და ოქმს შეადგენსო. ეს ადვილი საქმეა, მაგრამ რამდენი დავიდარაბა მოჰყვება შემდეგ ამას. ბაზრის ზედამხედველი ოქმს შეადგენს, თქვენვე მოწმეთ დაგასახელებთ და მომრიგებელ მსაჯულს საქმეს გადასცემს. სულ უბრალო საქმეზედ დაგიბარებენ სასამართლოში ოთხჯერ-ხუთჯერ მაინც და ბოლოს საქმე რითი გათავდება? დამნაშავეს დააჯარიმებენ ათის შაურით. ასე საქმის დაბოლოვებით, რა თქმა უნდა, ვერ კმაყოფილდება მომჩივანი და ამისათვის აღარ აქცევს ყურადღებას ოქმის შედგენას. უფრო კარგი იქნებოდა, რომ ქალაქის გამგეობის მოხელენი, ესე იგი ბაზრის ზედამხედველი და მისი თანაშემწენი მეტს ყურადღებას აქცევდნენ ხორცის გაჭრობას და უფრო მეტის უფლებით იყვნენ აღჭურვილნი.

მეოთხე საქმე უფრო საინტერესო იყო. როდესაც ქუთაისიდან ტყიბულამდე რკინის გზის გაყვანას აპირებდნენ, ქალაქის გამგეობას აღუთქვამს რკინის გზის მმართველობისათვის ადგილს დაგითმობ ქალაქის საზღვართა შორის, რადგანაც უმთავრესად ქალაქის ადგილზედ «საჯორიაზედ» უნდა გაეარა რკინის გზას; თუ ვინიცობაა შეხვდებოდათ კერძო მემამულეთა ადგილი, ამ შემთხვევაში ქალაქი დაჰპირებია შესაფერ ფულის გადახდას მემამულეების დასაკმაყოფილებლად. ამნაირი აღთქმა გამოუხატია ქალაქის საბჭოს თვისის დადგენილებით 1882 და 1884 წლებში მომავალმა საბჭომ არ სცნო სავალდებულოდ მარტო საბჭოს ოქმებში მოხსენებული გადაწყვეტილება და რკინის გზის მოთხოვნილება ვერ დააკმაყოფილა.

რკინის გზის მმართველობამ 1888 წელში უჩივლა ქალაქს 7898 მან. და 23 კაპ. კანონიერის სარგებლით, რაიცა შეადგენს დღეს-დღეობით 15.000 მან. ეს საქმე გაირჩა ქუთაისის ოლქის სასამართლოში და ქალაქმა მოიგო, შემდეგ რკინის გზის მმართველობამ გადაიტანა სამოსამართლო პალატაში, სადაც გაირჩა 1901 წელიწადში და იქ კი ქალაქმა წააგო. ამნაირად დღეს-დღეობით ქალაქს აქვს გადასახდი 15,000 მან. სამოსამართლო გადაწყვეტილება მოხსენდა საბჭოს და მასთანავე გამგეობის მოხსენება, რათა ეს უკანასკნელი გარდაწყვეტილება იქმნას განსაჩივრებული უმართებულეს სენატში. საბჭომ ერთხმად მიიღო გამგეობის წინადადება და ამოირჩია კომისია სამის ხმოსნისაგან და ქალაქის მოურავისაგან, რომელსაც დაევალა ამ მოკლე ხანში სადავო საქმის განსაჩივრება. კომისიაში აირჩია საბჭომ. გარდა ქალაქის მოურავისა, ვექილნი მ. ა. ქიქოძე, დ. ბ. ხელთუფლიშვილი, ა. ს. საყვარელიძე და გ. ს. ბარათაშვილი.

შემდეგი საგანი იყო ზედა ქვიტირის გამიჯვნის შესახებ დავა ქალ-ქსა და ხაზინას შორის. ნაწილი ზედა ქვიტირისა შემოუერთდა ქალაქს გამიჯვნის დროს. ხაზინამ ეს შემოერთებული ნაწილი ზედა ქვიტირის ნაწილად იცნო, ხოლო ქალაქმა დავა განუცხადა და საქმე სასამართლოში გადავიდა. ქუთაისის ოლქის სასამართლომ სცნა ეს ადგილები ხაზინის კუთვნილებად; საქმე შემდეგ გადატანილ იქმნა სამოსამართლო პალატაში, სადაც ისე გადაწყდა: სადავო ადგილი (244 დესიატინა იქმნება) იცნო სახაზინო ადგილებად და ზედა ქვიტირის ნაწილად, ხოლო ქალაქის „საზღვართა“ შიგნით. ამნაირად ვითომც არც მწვადი დაიწვა და არც შამფური. საბჭომ არ დაინახა საჭიროდ გადაწყვეტილების განსაჩივრება.

შემდეგ მოხსენდა საქმე მრავალ ტანჯულ ელექტრონის ტრამვაისა. ქალაქის კონტრაგენტმა ბ-ნმა ა. დ. მიხაილოვმა გადააცილა დანიშნულს ვადას და მუშაობა არ დაიწყო. ვადა ჰქონდა მიცემული ორ წელიწად ნახევარი პირობის დაწერის შემდეგ, ახლა-კი სამ წელიწადზედ მეტია გასული. ორი სამის თვის წინად ქალაქის გამგეობამ შეიტანა საბჭოში წინადადება, რათა პირობა მიხაილოვის და ამხ. მხრით დარღვეულად ცნობილიყო. მაშინ საბჭომ ამოირჩია კომისია, რომელშიც მოყვნენ ხმოსნები: ვ. ბ. გამრეკელი, ა. ს. საყვარელიძე და ზ. კ. მაჭავარიანი, და დაავალა თავის მოსაზრების მოხსენება. კომისიას ყოველ მხრივ განუხილავს საქმე და უცვნია, პირობა მიხაილოვის და ამხ. მხრივ დარღვეულიაო. საბჭომ შეიწყნარა ეს მოხსენება, პირობა დარღვეულად იცნო და დაადგინა, ათი ათასი მან. წარმოდგენილი ბ-ნ მიხაილოვის მიერ, ქალაქის საკუთრებად ჩაითვალოს და ეცნობოს ბ-ნ მიხაილოვს და ამხ. ეს გადაწყვეტილება. შემდეგი ორი საქმე დარჩა განუხილველი.

ქალაქის მოურავმა მოახსენა საბჭოს, რომ ჯერ ჯერობით გამგეობამ დასახლოვებით ვერ გადასწყვიტა, რომელი შენობა უფრო ამჯობინოს ქიმიურ ლაბორატორიისათვისაო. ორი მამულია, ერთი გაღმა და მეორე გამოღმაო. მეორე საგანი-კი ესე იგი პოლიცმეისტრის ბინის აშენების საქმე გადაიდვა, რადგანაც არხიტექტორს ვერ მოესწრო გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა. ასე გეგონებათ, ქარვასლას აშენებენო. მგონი რომ ერთი დღე სრულიად საკმარისი იქნებოდა სპეციალისტისათვის, თუმც გულით მოინდომებინა. მგონი იჯარადარი გ. ნეკარიძისათვის, რომელმაც «კალანჩა» დაანგრია, რომ მიენდო გამგეობას, ისიც შეადგენდა გეგმას და ხარჯთ-აღრიცხვას ორ დღეში!».

X

ჩვენებური ამბები

სოფ. საჭილაო (მარნის საზოგადოება) დ. სამტრედიიდგან შვიდ-რვა ვერსის მანძილზეა და გაშენებულია რკინის-გზის ლიანდაგის ორსავე მხარეს.

წელს ჩვენსკენაც, როგორც საზოგადოდ იმერეთში, ყოველი მოსავალი ძალიან ნაკლები იყო.

სიმინდი ცოტა მოვიდა. რაც მოვიდა, ისიც პეპლით გამოდის უმეტესი ნაწილი. ღვინო ხომ სულ აღარ მოდის ჩვენში. ამ მცირე მოსავლის გამო ძალიან შეწუხებულია გლეხობა.

დადგა შემოდგომა დაცივდა კიდეც. ყველამ კერასთან გაიკეთა ბინა. ზის გლეხი ცეცხლის პირას და თავპირი ჩამოსტირის. რავქნა, რითი გავუძლვე ამდენს გაჭირვებასო. რითი გადავიხადო სახელმწიფო გადასახადი, ან რითი გავსცე პასუხი მღვდელს, ერს, ან მტერს, ან მოყვარესაო. ჩვენი ერთად-ერთი ნუგეში სიმინდი იყო და ეხლა ამანაც გვიღალატაო: გასაყიდი-კი არა, შუა გზამდე სარჩოდ არ შეყოფაო.

ასე ჩივიან აქეთ და მართალიცაა.

სოფელს საჭილაოში არის სახელმწიფო მიწები, რომელიც აქაურ გლეხობას ეძლევა იჯარით. ზოგიც სანახევროდ იღებს ხაზინისაგან და ამუშავებს. რაც რჩება დაუმუშავებელი, ის საბალახოთ ქირავდება ისევ აქაურ მცხოვრებლებზედ: საბალახოში აძლევინებენ სამის თვის განმავლობაში—პირველ ივნისიდან მარიამობისთვის დამლევამდე—ქცევაში ორ მანეთს და ათ შაურს. საქონელიც დაბმული უნდა იყოს, რადგანაც გარეშემო ყანებია.

სამწუხაროა ამ ადგილების მცველების უსამართლო საქციელი. მაგალითად, მინამ სთველი გათავდება და სიმინდს ჩალიანად აიღებენ, მანამდე საქონელი ყველას დაბმული ჰყავს; ხოლო როცა სთველი სრულიად თავდება, მაშინ-კი, როგორც ყველგან, აქაც თავისუფლად უშვებენ საქონელს მინდვრად დაზამთრებამდინ.

ფელეტონი

კოლა მჭედლიშვილი.

(მოთხრობა)

(შემდეგი*)

II

— მართალსა ბრძანებთ, კოლავ, მართალს! ყველას მაშინათვე გვეეპირულა: კაცო, საიდამ მოხდა ეს, რომ ნაცვალსა და მწერალს ასოც თუმანზე მეტი ვალი უნდა დასდებოდათ და პირ წმინდათ-კი გამოვიდნენ,—სთქვა შუახანში შესულმა, ახალუხა, დერეფანში სკამზე ჩამომჯდარმა მალხაზიმ.

— პირ-იქით, ოცდა ხუთი თუმანი ვალი წამოგვკიდეს კისერზე, „ჩვენი ფული დავხარჯეთ, რადგანაც ზოგიერთ კომლზე გაწერილი ხარჯი ვერ ავკრიფეთ, დაგვეწვაო, გასავალი-კი თავისას არ იშლიდა, უნდა გაგვესტუმრებინაო“, დაუმატა ახალგაზდა, კოხტად წვერ-მოკრეჭილმა ივანემ, რომელიც იქვე დერეფანში ტახტზე ჩამომჯდარიყო მუთაქაზე.

— კბილის გამომჩხრეკი, მოანგარიშე-კი არავინ გყავდათ და არ იცი მეჭურჭლეს საითაც უნდა კოკას ყურს იქით უზამს?!.—უპასუხა კოლამ.

— არ ვიცოდით, თუ გელია მედუქნე, პირს იგრე გაიშავებდა, რომ თვალდათვალ იმათ მხარს დაიჭერდა,—სთქვა მალხაზიმ.

— ძაღლისა ბატკანი ვის უნახავს, კაცო:—გააწყვეტინა სიტყვა ივანემ,—ვისი მამის შვილია.—ერთ არაყზე ეგენი სულს გაჰყიდიან. სხვაც არა იყოს-რა, ე ხალხი არმად აღებულს ფულს იმის დუქანში ანიავებენ და, აბა, რა გიჟი გადაიმტერებს მაგათ?!.

— ხო გაიგონე, კოლავ, მიუბრუნდა მალხაზი, რომ ხალხმა მაშინათვე უარი სთქვა, ჩვენ მაგ ანგარიშისა ყაბულს არა ვართო; მეორე კვირას სხვა მოანგარიშეებს მოვიყვანთო, მაგრამ ეგენი დიდ უარზე არიან,—ერთხელ გიანგარიშეთ და გსვათავეთო.

— აკი გითხარით, ხალხმა კიდევაცა სთხოვოს ნაცვალს, რომ რიგიანი ანგარიში ჩაგვაბაროთ; თუ არ დაგვთანხმდნენ, მაშინ მე თხოვნას დაგიწერთ, მაზრის უფროსს მიართვით, პირადათაც აუხსენით თქვენი გარემოება და, დარწმუნებული ვარ, რომ თხოვნა აგისრულდებათ,—უთხრა კოლამ.

— შენი ჭირიმე, კოლავ,—შეეხვეწა ივანე კოლას,—შენ თუ არ გვიანგარიშე, ეხლაც დაგვაბრმავებენ. მართალია, ვიცით, სად რა უნდა იყოს დახარჯული, რამდენი ფული უნდა შემოვიდეს წელიწადში, მაგრამ, ჩოტკი რომ არ ვიცით, ანგარიშის თავსა და ბოლოს ვერას გავიგებთ.

— მე მზათა ვარ, უკან როდის დავიწიე,—ოღონდ თქვენ გქონდეთ ერთი პირი. რაც საქმე დაიწყოთ, ბოლოც გამოაბით ხოლმე, თორემ მე რა ხვეწნა მინდა,—უპასუხა კოლამ.—თქვენ იცით, რომ დაიწყობთ საქმეს, სანამ პირადი უსიამოვნება გაქვსთ კაცთან და მერე, თუ გასიამოვნა რამე, თუ გინდ ქვეყნის დამღუპავი იყოს, პირველი მეგობრები გაუხდებით ხოლმე.

— ღმერთი არ გაგვიწყრება, რომ უკან დავიხიოთ ამ საქმეში, თუ გინდ ის ასოცი თუმანი ამაღამვე მომიტანოს და ჩამიდვას ჯიბეში ნაცვალმა?!—შუბლშეკვრით წარმოსთქვა მალხაზიმ.

— რას გვეუბნები, კოლავ, შენ ჩვენის გულისათვის თავ გადაკლული ხარ, გინდა, როგორმე თავიდამ მოგვაშოროთ ჩვენი დამღუპავები და ჩვენ უკან დავდგებით?—დაუმატა ივანემ.—გვეყო ამდენი ტყავის გაძრობა! ეხლა მაინც თვალები არ უნდა გავახილოთ!?. მე და ჩემმა ღმერთმა, მთელი ხალხი აღელვებულია მაგათი ათასნაირი უკანონო საქციელით, მაგრამ აქამდისინ ვერა გაუწყვიათ-რა, რა ქნან, როგორ მოუარონ თავს.

— მართლა, კოლავ, ყატაანთ ზაქარას საჩივარმა რა ქნა, ნაცვალს რომ უჩიოდა!? აქამდინ პასუხი არა გატყვრა-რა?!. როდის იმან მისცა თხოვნა, აქამდის რა დამართა,—მიუბრუნდა მალხაზი კოლას, რომელიც ამ დროს ასადგომად ემზადებოდა.

— გუშინ კიდევ დაუწერე ორი თხოვნა, ერთი გუბერნატორისა და მეორე მთავარმართებლის სახელობაზე. ეხლა-კი უეჭველია, რომ გამოუძიებელი არ დარჩება ნაცვლის საქმეები.

— ერთი აქამდის მოვიდეს გამოძიება?! ერთი მე მკითხონ, როგორ ატყავებს ხალხს, ქურდებსა ჰფარავს, ნაქურდალს ინახამს, ქრთამებით ყელთამდის ივსება და მაშინ ეტირება დედა. მთელი სოფელი ყალხზეა შემდგარი, მოთმინებიდგან არიან გამოსულნი, გვეყოფა ამდენი დახრჩობაო—დროა ჩვენც ერთი თავისუფლად ამოვისუნთქოთო.

— თუ ისიც არ გადაიბირა თავისკენ, ვისაც დაჰნიშნავენ საქმის გამოსაძიებლად, ორ დღესაც არ აბოგინებენ, მალე აჰპარწკლავენ ჩვენს ნაცვალს, თუ არა და რა გამოვიდა, თუ ისიც გადაეფაფრა...

— გადაფაფრება არას უშველის. თუ ხალხმა სიმართლე სთქვა, აღარ შეიძლება მაგისი პარპაში, ბოლო მოეღება მაგის ყოყოჩობას,—უთხრა კოლამ.

— ნეტამც ეგრე იყოს, შენის დღეგრძელობითა და... ერთხმადა სთქვეს მალხაზიმაცა და ივანემაც.

ამ დროს კოლამაც შინ წამოსვლა დააპირა. ბევრს ეხვეწნენ, ვახშმათ დარჩომილიყო კოლა, მაგრამ ცივი უარი გამოაცხადა და გამოემშვიდობა:

— შინ საქმეები მაქვს, ჩვენებიც მელოდებიან.

ტიტიკო კლესაშვილს რომ პირველად ნაცვლობას აძლევდნენ, ის იმედი ჰქონდათ, „წიგნის კაცია, ყველგან ნატარი, კანონებში გამოქნილი“, „ჩვენ თავს არავის დააჩაგვრინებს, ზედ არავის შეაყენებსო“. სანამ ჯაჭვს იგდებდა ხელში, დიდ თანხებს ჰპირდებოდა ხალხს, ყველას განსაკუთრებულ, ზედ მისწრებულ შველას, „დაჩაგრული ჩემ ხელში წელში გაიმართებაო“, მაგრამ აი ეს მეორედ არის ამორჩეული ტიტიკო და ამისაგან გაჭირვებულ კაცს რიგიანი პასუხიც არა ჰღირსებია, თუ შიგ ტიტიკოსათვის გამოსარჩომი, საჭირო არა ყრილარა. ფეხ არ გადაადგამს ტიტიკო, თუ შიგ კერძო, საპირადო გამორჩომას არ გამოელის. ისე გაისქელა კისერი, რომ ვეღარც-კი წარმოუდგენია, თუ იმის ამ ადგილიდამ დაძვრა შეიძლება; ნაცვლობა საკუთრად მისთვის, ტიტიკოსთვის გაჩენილ, შექმნილ თანამდებობად მიაჩნია: ამისათვის არის, რომ მთელი ბრბო გაიჩინა მომხრეებისა, თავისი მსგავსივე ძმაბიჭებისა. ამ მთელ კუთხეში ისეთი საჭირო საქმე რა უნდა გამოჩნდეს, რომ ამ ძმაბიჭების ხელით არ გაკეთდეს. ამათ არა გამოეპარებათრა. უბრალო ქათამიც კი არ დაიკარგება უამათოდ. ამათ ხელქვეშ უნდა გაიაროს. ამ ძმაბიჭებს გარდა ტიტიკოს მთელი სოფელი ჰყავს უმადური, რადგან ზნევისა და გაყვლეფის მეტი ტიტიკოსაგან არა უნახავსრა, არა გაუგონიარა. სასოფლო ფულს ხომ, როგორც უნდა იგრე ატრიალებს. მთელი სოფელი სათლელ დუმათ გაიხადა—ჩაგრულთა შველას ვინ იჩივლებდა, თუ დამჩაგვრელების მარჯვენა ხელი არ შექმნილიყო. ვილა არ იყო უკმაყოფილო ტიტიკოსი, ვის არა ჰქონდა მასზე სათქმელი სამდურავი, მაგრამ რა გამოვიდა! დღეს თუ პეტრეს აადენდა ტუტას, გულს დაუთუთქავდა, სიმონის გაუხარდებოდა მეზობლის ავი, „პი მაგისთნას მაგრე უნდაო“, ნიშნის მოგებით დაუმატებდა. სხვათა შორის მალხაზი და ივანეც გულნატკენნი იყვნენ ტიტიკოსაგან. მალხაზის ჩაყვითლებულ, სიგამხდრისაგან ჩაგძელებულ პირი-სახეზე შეატყობდა კაცი, რომ მარტო ხელობით და სიწვრილიშვილისაგან ბევრი ვაი-ვაგლახი უნდა გამოევლო ცხოვრებაში. ბედისაგან დაჩაგრულს მალხაზს ტიტიკო ცალკე უშრობდა სისხლს, მალმალ მოადგებოდა კარზე გზირი: „აბა, მალხაზი ხვალიდან ნაცვალს უნდა უშველო ვენახში“, ან კიდევ: „ამ კვირია ნაცვლის ყანაში უნდა წახვიდე“. თუ უარს შეუთვლიდა მალხაზი: „კაცო, ჩემს მეტი ვეღარავინ იპოვნე, რა მალმალ მომადგები ხოლმე, შე ოჯახ დასაქცევო, სახლიკარზეო“, გზირი მაშინათვე დაუჭყივლებდა:

— ოჯახ დასაქცევო და სახლკარ ამოსაწყვეტო, მე აქ რას მიბუზღუნებ, წამო და ნაცვალს შეუტიე?!. მაშ როგორ გინდა, არც ბეგარაზე წახვალ და არც ნაცვალს დაახმარებ ხელსა?!. ვერ დაინახა შენმა დასაბრმავებელმა თვალებმა, რომ იმ კვირია ურმიანი ხალხი სულ ბეგარაზე გარეკა; შენ ვიღა რა თავი და ბოლო მიგდიხარ?!.—ასე ჩააწყვეტინებდნენ ხმას მალხაზის. ან რას იზამდა, ურჩობა, რომ გაეწია, ვაი თუ უფრო უარესი ძნელი სამუშაო ბეგარა მოუგონოს. „გამოჯავრებული სასოფლო გზებს სულ მე დამაწმენდინებსო“,—ფიქრობდა მალხაზი. ნამეტნავად კარგად გაიცნო ტიტიკო, როცა მალხაზი იმასთან ღამის ყარაულათ იყო, სოფელი ჯამაგირს აძლევდა მალხაზის, ღამე უნდა ეყარაულნა სოფელში, მაგრამ ყარაულობა რასა ჰქვიან.

— შე ოჯახ დასაქცევო, თვალი-კი მომარიდე ხალხთან, მერე მიდი და საცალობის ძირი მოგეწონოს, ლაზათიანი ძილი გამოაცხეო“,—ეტყოდა ხოლმე მალხაზის ნაცვალი იმიტომ, რომ მეორე დღეს იმის ვენახში რიგიანათ ემუშავნა, არ დასძინებოდა ღამის ნამწარებს უძილობისაგან. ღამის ყარაულებს გარდა, გზირებსაც სულ თავის საქმეზე ატარებდა, მაგრამ ნეტავი „ერთი რიგიანად დაგვანახვა თვალით ჩვენი ჯამაგირიო“, ისე «უხეიროდ გაგვიტარებს, წვრილ-წვრილად გამოგვაქმევს, ჩვენის ჯამაგირისას ჩვენც ვერას გავიგებთ ხოლმე რასმეო», იტყოდნენ გზირები. „სანამ მაგასთან ვიყავიო, იტყოდა მალხაზი—ნამუსის ძაფი მქონდა გაწყვეტილიო. პურს ხომ არ გვაჭმევდა რიგიანად, წადით მავანს წირვა აქვს დღესა, მავანს ქელეხი, პური იქა ჭამეთო. თითონ არ იკმარებდა მუცლის ჩახეთქას, უნდოდა ჩვენც სხვისა მუქთა ხორა სადილით გამოეყვანეთო». „გეშინიან გაჩენილიყო რამე სადმე, განაგრძობდა მალხაზი, დაირცხვენდა და სათხოვნელად არ გაგვგზავნიდა?!. ერბო გინდა, ახალი ყველი, გოჭები, ბატკანი, ხილი, ყურძენი, ლეღვი, ვინ მოსავლის,

---

*) იხ. „ივერია“, № 249.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უბედურებაც ის არის, რომ ამ ცოტა ხანშიაც ვერ ასცდებიან ხოლმე განსაცდელს.

ზემოხსენებულ ადგილებში არც ნასთვლევს უშვებენ საქონელს, თუმცა ამ დროს არაფერს არ აფუჭებს, მხოლოდ ნაყანევში სძოვს ბალახს. როგორც გადასდგამს ფეხს, მაშინვე იჭერენ და ამწყვდევენ პირუტყვს მშიერ-მწყურვალს, ვიდრე პატრონი მოიკითხავს. კიდევ კარგი, თუ იმ დღესვე მოასწრო პატრონმა მოკითხვა, მაშინ ათ შაურს ართმევენ თითო სულში. თუ დარჩა ორი-სამი დღე, მაშინ-კი არც მანეთს სჯერდებიან თითოში.

ბევრი შემთხვევა ყოფილა და ძალიან ხშირადაც, რომ დაჭერილი საქონელი ოთხი-ხუთი დღე რჩება. თუ პატრონმა დასახსნელი ფული ვერ იშოვა, მაშინ მეტ ხანსაც რჩება სრულიად უჭმელი და მშიერი პირუტყვი: ამ ხნის განმავლობაში ისეც ძვალ-ტყავა საქონელი ისე სუსტდება, რომ ფეხზედაც ველარ დგება, რის გამოც ვერ უძლებს სუსხიან ზამთარს და იხოცება.

დიაღ, ამაების გამო ძლიერ შეწუხებულია აქაური გლეხობა. ან და რა უნდა ჰქნან? მთელის წლის განმავლობაში ძნელია მუდამ თოკით დაბმა პირუტყვისა. თუ გაუშვა ცოტა ხანს, მაინც მაშინაც ზემოხსენებული უბედურება არ ასცდება ისედაც ცხოვრების სალსარს მოკლებული გლეხობა. სასურველია, ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

თათიაშვილი.

კავკასია

სტავროპოლის ახლოს ერთს რუსთა სოფელში საეკლესიო დღეობა ყოფილა და ხალხი ძლიერ დამთვრალა. ბოროტმოქმედებს უფიქრნიათ, ვინ რას გაიგებსო და დასცემიან სოფლის სამმართველოს, საცა თურმე 8 პოლიციელს ეძინა. შუაღამისას დაუბრახუნებიათ კარები. გამოსულა ერთი, მაგრამ იმ წამსვე დაუთხლეშნიათ კვერი თავში და იქვე გაუგორებიათ. შესულან და ახლა დანარჩენ შვიდისთვის აუგიათ ანდერძი. ვერც ყვირილს, ვერც წიოკობას ვერა უშველიარა მათთვის და ღრმა ძილს მიცემული სოფელი ვერ გამოფხიზლებულა. ბოროტმოქმედ დაუმტვრევიათ ყუთები და ამოულიათ ორას თუმნამდე. მერე წასულან სტავროპოლში და ერთის ვაჭრის დუქანი გაუტეხიათ იმ ღამესვე, იქაც უშოვიათ ფული; გადასულან ახლა ფანჯრიდან კათოლიკეთა მღვდლის სახლში და იქიდანაც ასი თუმანი გამოუტანიათ.

რუსეთი

გაზ. „Kotkan sanomat“-ი, რომელიც ფირლანდიაში იბეჭდება, 14 დღით იქმნა ჩაჩერებული.

— ქალაქი პეტერბურგი მოელის შემოსავალს სამერმისოდ 30 მილიონამდე. ხარჯ გარედ რჩება 106 149 ქალაქის შენობათა შესაკეთებლად. ხარჯად დანიშნულია: ქალაქის გასამშვენებლად 9 მილიონზედ მეტი, სამკურნალოდ და სასანიტაროდ—3 მილიონზედ მეტი, სწავლა-განათლებისათვის 1.759,590 და სხვ.

— პეტერბურგის საბჭოს ერთმა ხმოსანმა მოითხოვა, რომ ქალაქმა უარ-ჰყოს თვისი დადგენილება, მასწავლებელნი ქალნი არა თხოვდებოდნენო. გათხოვილ მასწავლებელ ქალებს არა დაუშავებიათრა და რად უნდა ვდევნიდეთო.

— 15 წლით კატორგა გადაუწყვიტეს პოდპორუჩიკს რაკეცკის, 23 წლისას, რადგან რევოლვერით მოჰკლა თავის სახლში შტაბს-კაპიტანის ნ. მ. მ—ს ცოლი თვით ქმრის თანადასწრებით, მხოლოდ იმიტომ რომ, უარს რად მეუბნევი და არ გინდა დამნებდეო.

— ხარკოვში აკურთხეს საერთო საცხოვრებელი სახლი სტუდენტებისათვის. სულ 160 ადგილია. შენახვა ჯდება 25 მან. ყველა ადგილი უკვე დაჭერილია.

— ხერსონის ერობას უნდა გააძლიეროს სწავლა-განათლება ხალხში. ბჭობა ჰქონია 60 კაცს და ვრცლად შეუმუშავებიათ ამ საქმის შესახები მასალა. სკოლები არ ჰყოფნის თურმე 126,223 სულს, ესე იგი 54%-ს სასკოლო ჰასაკის ბავშვებისას. რომ საყოველთაო იყოს სწავლა, დაახლოვებით 9 მილიონამდე უნდა დაიხარჯოსო.

— ირკუტსკის გენარალ-გუბერნატორს უკვე მიუნდვია იმ თავის მოხელეთათვის, რომელთაც დაახლოვებით იციან გლეხკაცობის ცხოვრება, შეადგინეთ საერობო დებულების პროექტი აღმოსავლეთის სიბირისათვისაო.

— თურქესტანში თურმე ზაფხულის ამინდებია. შარშანდელმა ზამთარმა-კი ძალიან დააზარალა მცხოვრებნი. საქონლის საკვების უქონლობის გამო 25 მილიონ მანეთის საქონელი დაიხოცა.

— 28 ნოემბერს შესრულდება 75 წლიწადი პეტერბურგის სატეხნოლოგიო ინსტიტუტის არსებობისა.

უცხოეთი

იაპონია. ტოკიოდგან იუწყება „Times“-ის კორრესპონდენტი, რომ პოლიტიკური დამოკიდებულება იაპონიისა რუსეთთან სრულიად არ გაუმჯობესდაო. იაპონიამ ოკდომბერშივე გამოუცხადა რუსეთს თვისი პირობები, რომლის შეცვლა არასგზით არ შეუძლიან. რუსეთმა-კი აქამომდე პასუხი არ გასცა. ამისთანა სიჩუმე იაპონელებზე ცუდს შთაბეჭდილებას სტოვებს. ჰფიქრობენ, თუ პარლამენტის კრების დაწყებამდე, ე. ი. 6 დეკემბრამდე, მორიგების გზას არ დაადგნენ ეს სახელმწიფოები, მაშინ საქმე გამწვავდებაო.

მეორე გაზეთის კორრესპონდენტი იუწყება, რომ მინისტრ-პრეზიდენტი უარჰყოფს, ვითომც ოკდომბერში იმედი გამოეთქვას, უთანხმოება რუსეთთან მშვიდობიანად გაივლისო. პირიქით, მინისტრი იმ აზრისაა, რომ ახლა აღარ შეუძლიან მშვიდობიანობა ჩამოაგდოს. იაპონიას საშინლად მოედო უკმაყოფილება რუსეთისადმი. პოლიცია ძალიანა სცდილობს და სასტიკ ღონისძიებას იღებს, რომ რუსეთის საწინააღმდეგო კრებანი დაშალოს და აკრძალოს.

მესამე გაზეთის კორრესპონდენტი იუწყება, რომ სამხედრო და ზღვაოსანთა ჯარის გამგებლობა დიდ ჰზადებაშია და მომავალი ყველას საფრთხილოდ მიაჩნია.

ბულგარია. საერო პარტიის წინამძღოლს ივ. გეშოვს თავისსავე სახლში ამას წინად უცნობნი დაეცნენ და გაძარცვას უპირობდნენ. აი გაზეთები რას იუწყებიან ამის გამო: ორის დღის განმავლობაში ორი კაცი გამუდმებით დადიოდა გეშოვის სახლთან და სცდილობდა იმის ნახვას. შინაურებისთვის უთქვამთ, ჩვენ სახალხო მასწავლებლები ვართ ტეტევენის მაზრიდგანო (გეშოვი ამ მაზრის წარმომადგენელი საერო კრებაზე). შინაურებს უთქვამთ, სამშაბათს მოდითო. დანიშნულ დროს უცნობნი მართლა მოვიდნენ. გეშოვმა თავის კაბინეტში მიიწვია, ზრდილობიანად მიიღო და სთხოვა, დაბრძანდითო. როდესაც კარი მიიხურა, უცნობებმა რევოლვერები და დინამიტი ამოიღეს და მასპინძელს უთხრეს: ,,ჩვენ მასწავლებლები კი არა, რევოლიუციონერები ვართ და ფულისთვის მოვედითო. თუ ახლავე ასი ათას ფრანკს არ მოგვცემთ, ეხლავე მოგკლავთო''. გეშოვმა უთხრა: ,,თუ მომკლამთ, ფულს ხომ, სულ ერთია, ვერ მიიღებთ და თქვენს საქმეს კი ჩირქს მოსცხობთო. მოცემაც რო მინდოდეს, მაინც ჩემს სურვილს ვერ შევასრულებდი, რადგან ეხლა შინ ფული სრულიად არა მაქვსო''. უცნობნი ვაჭრობის შემდეგ დასთანხმდნენ ორმოცდა ათი ათასი ფრანკი მიიღონ ორის ჩეკით — ერთი ათისა და მეორე — ორმოცის ათასის ფრანკისა. გეშოვმა ხელი მოუწერა, ხოლო მეორე დღეს გაკადნიერებულნი უცნობნი რომ მივიდნენ გეშოვის კანტორაში, ორთავე პოლიციამ დააპატიმრა. სოფიის გაზეთები იუწყებიან, რომ ამ უცნობთ არავითარი კავშირი არა აქვთ მაკედონიის კომიტეტებთანაო.

ნარკვევი

პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა, როგორც გაზეთებიდან მოგეხსენებათ, აღუკრძალა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთ კერძო თეატრებში სიარული. ამის გამო ერთს თანამშრომელს გაზეთ „ბირჟის უწყებისას“, როგორც გადმოგვცემს გაზეთი „რუსეთის უწყება“, ჰქონია ბაასი მზრუნველთან, რომელსაც, სხვათა შორის, უთქვამს:

«უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, საინტერესოა საზოგადო მიზეზნი აღკრძალვისა; ხოლო შემდეგ, რადგანაც ყველა თეატრებში არ არის აღკრძალული სიარული —კერძო მოტივებიც. საქმე იმაშია, დიდი ხანია გვესმის საყვედური და საჩივრები, რომ სხვა-და-სხვა გასართობებს გამრყვნელი ზედ-მოქმედება აქვს მოსწავლე ახალგაზრდობაზედ. ჩვენ გულდასმით გამოვიკვლიეთ ეს საკითხი და დავრწმუნდით, რომ ეს საყვედურები მართალია. საჭიროა ახალგაზრდობას დაედოს სხვა-და-სხვა თვალის გასართობ წარმოდგენებზე; ახალგაზრდობა, მოგეხსენებათ, ერთნაირად ითვისებს კარგსაც და ცუდსაც, და ამიტომ რასაკვირველია, ჩვენ მოვალენი ვართ დავიცვათ ზნეობა მომავალ მამულიშვილთა. რაც შეეხება კერძო თეატრებს, ჩვენ აღკრძალვის დროს გვხელმძღვანელობდით რეპერტუარით. შესახებ ოპერეტებისა და ფარსებისა ლაპარაკიც არა ღირს.

ის, რაც თვალს წარმოუდგება ხოლმე ამ წარმოდგენების დროს, დიდებისათვისაც არ არის სასარგებლო, არა თუ ახალგაზრდობისათვის. რაც შეეხება იმას, რომ ავუკრძალეთ სახალხო თეატრში სიარული, აქ სხვა მოსაზრებანი გვქონდა. ჩვენ ძალიან ვსწუხდით, როცა ამ თეატრში ავკრძალეთ სიარული. რეპერტუარი კარგია და, უეჭველია, სასარგებლოც კია. იქ არდგენენ განსაკუთრებით პატრიოტულ პიესებს და კარგადაც არდგენენ. მაგრამ, ვერ წარმოიდგენთ, რა ჰხდება ანტრაქტების დროს; ამაზე არა ერთხელ ყოფილა გაზეთებშიაც. როგორ უნდა მოვქცეულიყავით? თეატრს ხომ ვერ მოაშორებთ მის დარბაზებს (ზალებს). ჩვენ ასე გვსურს ამ საქმეს მოვუაროთ: განსაკუთრებით მოსწავლეთათვის რომელსამე დღეს დავიქირავებთ მთლად თეატრსა, რომ გარეშე ხალხი არ დაესწროს წარმოდგენას. ამას გარდა, ჩვენ მოგვივიდა თხოვნა ნება მიეცეს მოსწავლეთ იარონ ახალს თიატრში სიმფონიურ კონცერტებზე. ჩვენ, რასაკვირველია, ნება დავრთეთ. ეხლა ძალიან გვაინტერესებს გადავწყვიტოთ, რომელ თეატრში შეუძლიანთ სიარული და რომელში არა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა. ამაზე სჯა-ბაასი ერთხელ კიდევ იქნებაო.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

კვირას, 23 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა «და ტერეზა» ანუ „მონასტრის ზღუდეთა შორის“.

დაძველებული მელოდრამაა და არ გვესმის, რად დასჭირდათ მისი არხივიდგან გამოტანა. რად ჰგონიათ, რომ ხალხს, რომელიც უფრო კვირაობით დაიარება ხოლმე, მარტო ამისთანა პიესები მოსწონს და შეეფერება, უფრო აზრიანს-კი ვერ გაიგებს... კიდეც რომ ეგრე იყოს, ეს იმას არ ჰნიშნავს, რომ თეატრის ბედ-იღბლის გამგენი არ უნდა სცდილობდნენ შესაფერ პიესების არჩევით განუვითარონ ხალხს გემოვნება, გაუღვიძონ უკეთეს ნაწარმოებთა ნახვის სურვილი.

შეიძლება პირველ ხანს თეატრმა ზარალის მეტი არაფერი მოიტანოს, ხალხი მოერი-

---

პირველად მაგის სახლში უნდა გაჩენილიყო. ღვთისა წინაშე, თითონაც იცის თავისის უფროსების პატივისცემა. სანამ მაგასთან ვიყავ, ღამე ზიდილით წელი მქონდა მოწყვეტილი. როცა საჭირო იყო, დღისითაც გვატანდა გოგნაანის ტყეზე. თუ გინდ შეგვხვედრიყო ვინმე, რა იცოდნენ, სად მიგვქონდა. ეხლა თურმე საწყალი ქიტელა ჩავარდნილა ჩემ ტანჯვაში'' დაამთავრებდა სიტყვას თანაგრძნობის კილოთი მალხაზი.

უარესი ძვირი გული ჰქონდა ტიტიკოზე მის განაყოფ ივანეს. აქაო და ძალი ჩემ ხელთ არის და უფლებაო, ერთ ალღამდის ეზო მიიზიდა ივანესი და სახლი აიშენა. საერთო გასაყოფი ადგილიც სულ თავისათვის შემოაღობინა და როგორც უნდა იგრე ხმარობს. შიგ არხები ჩააყრევინა, ათას ნაირ სათესულობით სარგებლობს... სუდიებთან იჩივლა ივანემ, მაგრამ ვერა გააწყო რა. ტიტიკოს შიშისაგან სოფლის სუდიებმა უარი გამოუცხადეს საჩივარზე ივანეს, ჩვენ ეს საქმე არ შეგვეხება, მომრიგებელ მოსამართლესთან იჩივლეო. სად ეცალა ივანეს იმ სიშორეთ სადავიდარაბოდ. იმას გაუძლებდა, რომ მეორე ხრიკი არ ეგდოთ ივანესათვის. თავლიდამ თავისი მაცხოვრებელი ცხენი მოჰპარეს. კვალიც კი მიიტანა ტიტიკოს ნათლიმამა კოტეს კალოზე. ივანე მაშინათვე ეცა ნაცვალთან, —,,ცხენი დავკარგე და აბა ერთი კოტე დაიბარე, სად არისო, კვალმა სწორედ იმის კალოზე მიმიტანა; მაგრამ არც თვითონ და არც ცხენი არსადა სჩანსო, მაგრამ ტიტიკომ შორს დაუჭირა საქმე ივანეს: ,,აი ეხლა პრისტავი მიბარებს, იქ უნდა წავიდე, არა მცალიანო და, მოვალ თუ არა, მაშინათვე დავიბარებო''. შენც არ მომიკვდე, ივანეს ამით არა ჰლხინებოდა რა. ერთი კვირის შემდეგ გაჩნდა სოფელში კოტე, წყვილი კამეჩი მოიყვანა და იმ დღესვე დაყიდა. ნაცვალთან რომ ვერას გახდა, ელდრისაკენ ეცა ივანე, ჩემს ცხენს იქ გასცვლიდნენ ამ კამეჩებზეო, მაგრამ გვიან იყო ამისი ცხენი, განჯა-ყარაბაღისაკენ გაეცილებინათ—ცოტას გასწყდა, ნაცნობ თათარს, რომ არ გაეფრთხილებინა ივანე, თითონაც ტყავი იქ არ გაჰქმა. მერე ამისი პატრონნი ვეღარც ტყავს მიაგნებდენ ამისას და ვეღარც ხორცს, კვალწმინდად დაიკარგებოდა. ბევრი რამე კი უამბო ,,ყონაღმა''. ,,მთელი ეს ავაზაკური ქურდობა და მტაცებლობა ერთხელ და სამუდამოდ შემოღებულ წესითა და რიგით სწარმოებსო. ისე აქვთ ერთმანეთთან პირი შეკრული, ყველაფერი გადაწყვეტილი, რომ ფრჩხილის ოდენა სამდურავი არ მოუვათ ერთმანეთთანაო. ყველაფერი ეს ფარულად, შუაღამისასა ხდება, ბნელობაში, წინადვე ნაჩვენებ, არჩეულ ადგილას. თქვენები მოჰრეკავენ აქ საქონელს, ერთ საათში ჩვენებურებისაგან ყაზახისაკენ დატაცნილ საქონელში გასცვლიან და ყველა სისწრაფით თავის გზას გაუდგებაო''. ,,მხოლოდაო, დაუმატა ყონაღმა და ჩურჩულით უთხრა ივანეს ყურში, ამ მზაკვრულ გაცვლა-გამოცვლაში დიდი ოღრაშები, მოთავეები ჩვენებური და თქვენებური მოხელეები არიან, დიდი ნაწილი იმათ უდევთ, თორემ როგორ შეეძლოთ ძაფის დანაფასები რამ დაკარგულიყო ან ჩვენში ან თქვენშიო. ყველაფერი ეს ვიცით, მაგრამ რას ვიზამთ, თუ სადმე ხმა მაღლა დავიყრანტალეთ, დავამთქნარეთ, პირი დავატოკეთ, ცოლ-შვილს უნდა გამოვესტუმროთ, სიცოცხლეს გამოგვასალმებენო''. წავიდა და ასე ჩაიყლაპა ივანეს ოჯახის მარჩენელი ცხენი, ვეღარა გაიგო რა ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ უყო პირი. გუმანი კოტეზე ჰქონდა, მაგრამ რა გამოვიდოდა, თუ ეტყოდა რასმე, კოტე კარგ-კარგებისასაც აჰკიდებდა ზურგზე, იქნება ვერც კი დაეთვალნა. მართალს ამბობს, მე და ჩემმა ღმერთმა—მიუბრუნდა მალხაზი ივანეს, როდესაც კოლა შორს გასცილდა მალხაზის სახლს,—ძრიან ცუდი ხალხნი ვართ, პირი არა გვაქვს, ერთმანეთის გაუტანელი ხალხი ვართ, ერთმანეთის ავი გვიხარიან, ერთმანეთს თვალში თითს ვუჭერებთ, ჩემი მეზობელი თვალებს რათ ახილებსო, თორემ აქამდის ტიტიკოს მოხელეთ ვინ აბოგინებდა?!

— ეხლაც კოლას სიტყვებზე რომ არ გაგვეჭყიტნა თვალები,—დაეთანხმა ივანე—ხუთი ყავლიბაც რომ ეწველნა ჩვენი თავი, სიტყვის თქმასაც არავინ გაუბედავდა, არა თუ ანგარიში მოეთხოვნა მაგისათვის...

— ღმერთმა აღდეგრძელოს, ღვთის ნათლული ვინმე, არავის არ ეშინდება, ჩვენის გულისათვის ცეცხლში ჩადგება. ცოტა მაგან მოგვიყვანა გონს, თორემ ჩვენ რა გზა-კვალს გავხდებოდით—სთქვა მალხაზიმ.

— კაცო, ათასი გზაც რომ იცოდე, გული გვქონდა გატეხილი, რომ ჩვენი გულშემატკივარი არავინ გვინახავს: ყველანი ჩვენა გვყვლეფავდნენ. სამართალს, რომ ვერსადა ვპოულობდით, რას იზამ, რომ ყურებს არ ჩამოჰყრი და ბედს არ დაემორჩილები?!. იმაში-კი მართალი ხარ, მალხაზი, რომ სიმართლე, გვეთქვა, ჩვენიანებივე ჩაგვჩრიდნენ პირში ბურთს, მართლია!!.

— აკი ნასწავლი კაცი სულ ერთიაო,—ცოტა სიჩუმის შემდეგ ისევ ივანემ დაიწყო,—რატო ერთხელ ჩვენის უჩიტლიდამ ან მღვდლიდამ არ გამიგონია, „სოფლის ჭამია ნადირებს, როდემდის უნდა ეყვლეფინოთ, ყურები გამოიფხიტეთ, თვალები გააჭყიტეთო“?!

— ეჰ ივანე,—გააწყვეტინა სიტყვა მალხაზიმ:—ეგენიც ამბობდნენ თავის დროზე, მაგრამ, რომ ვერას გახდნენ, თავი მიანებეს. სხვაც არა იყოს-რა, თავიანთ ოჯახს ვერ აჰსვლიან, ჩვენთვის სადა სცალიანთ?!

— კოლას-კი არა აქვს ოჯახი?!. მგონია მაგის მამაზე გაჭირებული, უილაჯო, ჩვენს სოფელში ოცი კომლიც არ მოიძებნოს, მაგრამ ეგ იმას ამბობს, მამა ცხონებული, სანამ ჩვენში ეგეთი უსამართლობა, ძალმომრეობა და მდიდარი ღარიბზე იქნება გადამჯდარი სულთამხუთავივით, მანამდის ჩვენში ადამიანური ცხოვრება არ ივარგებსო...

— ჩვენც, თუ მხარი არ დაუჭირეთ და ჩვენებურათ ერთმა ალთასა ქნას პირი, მეორემ ბალთას, ერთმა ცხვირი ეშმაკისაკენ გასწიოს, მეორემ ჯანდაბა-დოზანისაკენ, მაგან ერთმა რა ქნას? სხვაც არა იყოს-რა, რკინის თავი ხომ არა აქვს, ყველას გაუძლოს?—სთქვა მალხაზიმ.

— როგორ თუ მხარი არ დაუჭიროთ?! მე და ჩემმა კამჩენმა,—ფეხზე წამოდგომით და მუშტის ქნევით წარმოსთქვა ივანემ,—თუ გვიღალატა ვინმე და ტიტიკოს შეუძვრა გამორჩომის გულისათვის, ჩემ მეტი დუშმანი არ უნდა, ბარემ შინაურებს გამოეშვიდობოს?!.

— ეგეც მართალია, მაგრამ ნაჩალიკთან რომ გავივლით სათხოვნელად, „ტიტიკომ ანგარიში მოგვცესო“, ყველამ წმინდა გიორგზე ხელი დავადვათ და შევფიცოთ, „ვინც ჩვენგანმა ერთმანეთს უღალატოს, სახლ კარი ამოუწყდეს-თქო“.

— ეგ ძალიან კარგი მოიგონე, მალხაზი, ძალიან!!.—დაეთანხმა ივანე.

კოლაანთ სახლი კარგა მოშორებით იყო მაღლობზე გამოჭიმული და, სანამ შინ მივიდოდა, კოლა ერთ ცხვირ წამოწვეტილ ფერდობზე წამოწვა მხართეძოზე ქარის ამოსაღებად. მთვარე კარგა მაღლა ამოსულიყო ცის სივრცეში. კოლამ შლიაპა მოიხადა თავიდამ და მთვარეს შეხედა. სევდიანი, ჟუჟუნა თვალები გაუბრწყინდა წაბლის-ფერს წვერ-ულვაშს ქვეშ ღიმილმა შეუთამაშა, მძიმეთ შუბლზე ხელი გადისვა კოლამ და ჯერ სოფელს გადახედა, რომელიც ამ ჟამად ღრმა ძილს, მოსვენებას მისცემოდა, მერე—გრძლად, შეუპოვრად, და მედიდურად გაჭიმულს კავკასიონის მთაგრეხილს. მთვარის შუქზე მისი მწვერვალები ელვარებდა საამურად, ხევის ნაპრალებზე-კი ჩრდილის საოცნებო სურათები იხლაკნებოდა. ამ სანახაობამ გაიტაცა კოლა და ფიქრებში გაერთო. ამ ბუნების სიდიადესთანა და ქედ-მაღლობასთან შედარებით, რა უნუგეშო, უმწეო, პაწაწკინტელანი ეჩვენნენ ამა სოფლელნი.

— როდემდის ვიქნებით ამ საერთო უმეცრების, გაუგებრობის მორევში ჩაფლულნი?!. როდის ველირსებით, ჩვენც ერთი დღე კარგი ვნახოთ?! დამღუპველ მეს-ჩემობას შთაუნთქავს ჩვენი ცხოვრება. არავითარიმე საზოგადოებრივი აზრი, თვით ცნობიერება, საერთო ჭირ-ვარამისთვის ჭირისუფლობა?!. ყველანი საკუთარ «მეს» შთაუნთქავს, გაუტაცნია. საწყალ სოფლელს ვერც-კი წარმოუდგენია, ან სადა სცალიან ამისათვის, რომ, გარდა კერძო საქმისა, არის კიდევ საერთო, საზოგადო საქმე, რომელიც ყველას თანაბრად შეგვეხება და რომლის გამოჭომაგებაც ყველა ჩვენთაგანის მოვალეობას შეადგენს. ისიც-კი ეძნელება, შინაური წრუწუნები, რომელნიც ამისავე სისხლით დასუქებულან, როგორ მოვიშორო, ჩემის ძალღონით ამას მოვახერხებო?!. არსებითის, დაკარგულ უფლების აღდგენისათვის ამას არა სცხელა რატო „ნასწავლები“ მაინც არა ვფიქრობთ ამაზე?!. ესე საზოგადოებრივი მაჯის ცემის მიღწევნებაც არ გაგონილა!!. ეხლა ყოჩაღი, საქებური ის არის ვინც კერძო ოჯახს, ბედნიერებას უკეთ მოაწყობს, ვინც ქონებით ფიტმოკრულია. ის-კი, ვინც ცოტაოდნად ხელის განძრევასა ფიქრობს საზოგადოებისათვის, თითითსაჩვენებელი ბედოვლათია სრული გულგრილობაა საზოგადო საქმეს უგულებელყოფაა გამეფებული!! ჩინების, სამსახურში წარმატების სურვილმა, ამ საქმეში ერთმანეთის ქიშპობამ ლამის არის ეს ხალხი სულ გამოაყეყეჩოს. მაგრამ ერთხელაც არის ცხოველის მყოფელი სიო დაჰბერავს. ეხლა თუ ყველა თავის კუნჭულშია მიმალული, არავინ რას ჰკითხავს, მაშინ საერთო ფერხულში ჩაებმება და მასაც გაეღვიძება მადა, წყურვილი საერთო უღლის ტარებისა. ეხლა მას ახლო არ აწანწალებენ აქ საერთო უღელთან, ამიტომ ყოველი ხალისი დაკარგული აქვს თვით მოქმედებისა, რომელიც საუკეთესო სკოლაა მისაღწევად კაცურ-კაცობისა. მაშინ დაუკითხავად აღსდგება მის თვალწინ საზოგადო აზრი ძმათა დახმარებისა...

ე, მ—შვილი.

(შემდეგი იქნება)

დოს უცნობს პიესას, მაგრამ ეს არ უნდა გვაშინებდეს. თეატრი ხომ დუქანი არ არის, რომ უთუოდ მოგებას იძლეოდეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეგ ერთად-ერთი დაწესებულებაა, სადაც ჩვენს ხალხს თავისს გასაგებ ენაზედ შეუძლიან გონებას საზრდო მიაწოდოს და თვით-ცნობიერება გაიღვიძოს. დიდ საქმეში-კი, ჩვენის აზრით, განსაკუთრებით მატერიალურ მოსაზრებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

წარმოდგენამ სუსტად ჩაიარა... როლების უცოდინარობა ჩვენს სცენაზედ მუდმივ ამბად გარდაიქცა. ჯაფა სუფლიორს მოუმატა და ამ საღამოსაც თითქმის არც ერთმა არ იცოდა ზეპირად ის, რაც სათქმელი ჰქონდა.

კარგი იყო ნხეიძე ადელინას როლში. ეს მსახიობი ქალი ყოველთვის დაკვირვებითა და მოფიქრებით ასრულებს, რაც უნდა როლი ჰქონდეს, და ეს დიდი ღირსებაა მსახიობისა.

არა უშავდა რა კ. ყიფიანსაც გრაფ-ემპალის როლში, ელ. ჩერქეზიშვილსა და ნ. გაბუნია-ცაგარლისას მონოზანთა როლებში.

და ტერეზა—ა. კარგარეთელი—სუსტი იყო. ამ მსახიობ-ქალს ვერ ეხერხება საერთოდ ძლიერის გრძნობების გამოხატვა და ამ საღამოსაც ძლიერ მკრთალად გამოხატა სულიერი მდგომარეობა იმ ადამიანისა, რომელსაც იმდენი ტანჯვა გადახდა თავს, როგორც და ტერეზას.

დანარჩენებიც სუსტობდნენ

ხალხი ნაკლებად იყო თეატრში.

ქ. ყი—ნი.

—

ქ. ოზურგეთი. სამშაბათს, 18 ნოემბერს ჩვენმა სცენის მოყვარულთა დასმა გამართა მეთორმეტე წარმოდგენა. ითამაშეს „ციმბირელი" ა. ცაგარლისა. წარმოდგენას საზოგადოდ ცუდად არ ჩაუვლია, თუმცა ამავე მოთამაშეთაგან უკეთ თამაში შეიძლებოდა, მაგალითად, შარშან ეს პიესა უფრო მშვენივრად წარმოადგინეს ამავე სცენის მოყვარულებმა ორი-სამის გამოკლებით. ამით ჩვენ გვინდა ვსთქვათ, რომ ოზურგეთში არის ორი-სამი სცენის მოყვარული ქალი, რომლებსაც შეუძლიანთ სცენაზე თამაში და უთამაშნიათ კიდეც ბევრჯერ; ახლა-კი ზურგი აქვთ შექცეული. თუმცა დიდი თანამგრძნობნი არიან თეატრისა, მაგრამ მარტო პარტერიდან თანაგრძნობა არ კმარა, და ამიტომ იძულებულია დასის მეთაური სრულიად გამოუცდელნი მოამზადოს და გამოიყვანოს სცენაზე. ყოველთვის ისეთს პიესებს ხომ არ ითამაშებენ, რომელშიაც ერთი და ორი ქალია მხოლოდ?!

არ იქნება ურიგო იმ ორმა თუ სამმა სცენის მოყვარულმა ქალმა პირი იბრუნონ სცენისკენ და ეგებ რამ ახალი პიესა ვნახოთ.

ამით ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ ქ-ნნი მ. კვაჭანტირაძე (ვარო) და მ. შე—ლი (ქალია) ცუდნი იყვნენ და ვერ ასრულებდნენ თავიანთ როლებს, პირიქით, როგორც შეეფერება პირველად სცენაზე გამოსულთ, არა უშავდათ რა, ანსამბლი არ დაურღვევიათ.

ბ-ნმა კ. ბებურიშვილმა (ციმბირელი) აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება თავის თამაშით. ხანგრძლივ ტაშისცემით და „ვაშას" ძახილით დააჯილდოვეს. ქ. კ. ხურციძე (ნარგიზა) კარგი იყო მესამე მოქმედებაში. ქ-ნი ევ. წუწუნავა (მაშო) კარგი იყო. ეს როლი ნამდვილი მისი შესაფერია; ქ-ნი დ. ჩიგოგიძე კარგი იყო თაზაგულის როლში. ბ-ნი ა. წუწუნავაც (პეტრუა) კარგი იყო. მხოლოდ მეორე მოქმედებაში. სახამ ციმბირელი შემოვიდოდა უგულოთ თამაშობდა. ბ-ნ დემუროვს (სტეფანე) არა უშავდა-რა. ბ-ნ ვ. გოგიბერიძეს (ნიკოლა) უკეთ შეეძლო ეთამაშა ეს როლი, უფრო მეტი სიცოცხლე მიეცა. ბ-ნი ს. ხურციძე, ვერ ვიტყვით, კარგი მაზუთიანი იყოვო-მეთქი.

თეატრი ხალხით გაჭედილი იყო.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მანდილოსანი შინ დაწყებულ მუსაიფს თეატრში განაგრძობენ და მოქმედების დროს მუსაიფით და სიცილით დანარჩენებს წარმოდგენის ყურებას უშლიან.

მხიარულიძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ნოემბერი.

პეტერბურგი. 22 ნოემბერს, დილით 2 საათზე, ცარსკოე სელოში დაბრუნდნენ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე დედოფალი ალექსანდრა თეოდორეს ასული.

22 ნოემბერს დიდის მთავრის მეუღლის ელისაბედ მავრიკის ასულის თანადასწრებით დაიწყო საერთაშორისო გამოფენა „დეტსკი მირ" ისა. გამოფენაში მონაწილეობას იღებდნენ, გარდა რუსეთისა, ავსტრია, ბელგია, გერმანია, ჰოლანდია და საფრანგეთი. გამოფენის უმთავრეს კომისრად დანიშნულია მ. ა. ბილბასოვი, გამგედ: მეცნიერულ განყოფილებისა — ე. პ. კოვალევსკი და ჰიგიენისა — პროფ. ნ. პ. გუნდობინი.

ოდესა. მესამე დღეა, რაც ზღვა და ოდესას გარშემო ადგილები ნისლით არის მოცული. გემების მიმოსვლა ძლიერ შეფერხებულია.

მოსკოვი. ღარიბთათვის მზრუნველ ქალთა საზოგადოება აარსებს საავადმყოფოს ფილტვებით ავადმყოფთათვის.

ბუდაპეშტი. დამოუკიდებლობის პარტიის წარმომადგენელთა თათბირზე 46 ხმის უმეტესობით 28 წინააღმდეგ მიღებულ იქმნა წინადადება ობსტრუქციის შეწყვეტის შესახებ.

მადრიდი. მაურა დასთანხმდა, მეფის წინადადებისამებრ, კაბინეტი შეადგინოს.

სტამბოლი. სმირნაში ერთი კაცი შავის ჭირით მომკვდარა. ნაბრძანებია, სმირნიდან გამოსული გემები გამოსვლისა და დანიშნულ ადგილზე მისვლის დროს ექიმებმა გასინჯონ.

ბელფორი. იფფეკენერისათვის, რომელიც პასუხის გებაში იყო მიცემული ჯაშუშობისათვის, სასამართლოს გადაუწყვეტია ერთის წლით საპყრობილეში დაპატიმრება და 1000 ფრანკი ჯარიმა. ამასთანავე აეკრძალა 10-ს წლით საფრანგეთში მისვლა. საქმე ხალხის დაუსწრებლად განუხილავთ.

23 ნოემბერი.

სიმბირსკი. დიდი ამბით დაიწყო მოქმედება ბირჟის საზოგადოებამ.

პეკინი. გამოცხადდა ბრძანება, რომლის თანახმად მხედრობა ნაციონალურად უნდა მოეწყონ.

ტიანძინი. იუანშიკაი დაინიშნა საიმპერატორო საზღვაო და ხმელეთის ჯარების მთავარ-სარდლად, ამასთანავე ებოძა უმაღლესი ხარისხი.

24 ნოემბერი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა ნება-რთვა უბოძა ფინანსთა სამინისტროს გამგეს, ავადმყოფობის გამო დაეთხოვოს სამსახურს დროებით და უმაღლესად ბრძანა ფინანსთა სამინისტროს გამგეობა გადაეცეს ამ ხნის განმავლობაში ფინანსთა მინისტრის ამხანაგს ტაინი სოვეტნიკს რომანოვს.

ჰელსინგფორსი. 23 ნოემბერს გენერალ-გუბერნატორმა სადღესასწაულო სადილი გაჰმართა ფინლიანდიის სენატის პატივ-საცემლად. სადილად იყვნენ მიწვეულნი ყველა სენატორები, პროკურორი და წარმომადგენელნი ჯარისა, უნივერსიტეტისა და აქაურ დაწესებულებათა მეთაურები. ხელმწიფე იმპერატორისა, ხელმწიფე იმპერატორიცასი და ხელმწიფე მემკვიდრის სადღეგრძელოთ გამოიწვია აღტაცებული ხანგრძლივი «ურა». სადღეგრძელო სენატისა, მისის წარმომადგენლისა, უნივერსიტეტისა და ფინლიანდიისა გულითადის თანაგრძნობით იქმნა დალეული.

სოფია (ოპოზიციის მომხრეთაგან). კრება კვლავ არჩევნების სისწორეს ამოწმებს. შემმოწმებელმა კომისიამ გადასწყვიტა სთხოვოს კრებამს არ შეიწყნაროს არჩევანი ოპოზიციის ზოგიერთის დეპუტატისა, რომელნიც მთავრობას არ ეპიტნავება და დაჰნიშნოს გამოძიება სხვების შესახებ იმ აზრით, რომ შეამცირონ ოპოზიციის დეპუტატების რიცხვი. სამინისტრომ სთხოვა კრებას მოიწონოს ბრძანება მოხელეთა კანონის გაუქმების შესახებ.

მოსკოვი. მესამე კადეტთა კორპუსის მეხუთე კლასის შეგირდს სბრუევს, რომელმაც პატარა ბიჭი წყალიდგან გამოიყვანა, დირექტორმა მედალი ჩააბარა, კადეტთა თანადასწრებით და წაიკითხა ამის გამო მოხსენება, რომელზედაც ხელმწიფე იმპერატორს დაუწერია: «თანახმა ვარ, ყოჩაღ». — უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში რუსულ მწერლობის მოყვარეთა კრება იყო დანიშნული, მაგრამ იმდონი ხალხი მიაწყდა, რომ ლიტერატორები, რომელთაც თვისი მოხსენება უნდა წაეკითხათ, დარბაზს გარედ დარჩნენ, და კრება არ შესდგა.

ორიოლი. პოეტის ტიუტჩევის დაბადებიდგან ასის წლის თავი იდღესასწაულეს კეთილშობილთა საკრებულოში. თავად-აზნაურთა მარშალმა სტახოვიჩმა ღირსშესანიშნავი სიტყვა წარმოსთქვა.

იზიუმი. დაარსდა და აკურთხეს სახალხო წიგნთ-საცავი, რომელშიაც მოთავსდება 60,000 წიგნი, სამკითხველო, მუზეუმი და წიგნის მაღაზია.

მალმიუ. საერობო საკანგებო კრებამ დაადგინა 1905 წლიდგან დააარსოს ყოველ წლივ 10 სკოლა, სულ 75 სასწავლებელი.

კიევი. მიტროპოლიტი ფლაბიანე გაემართა პეტერბურგს უწმინდეს სინოდის საქმეებში მონაწილეობის მისაღებად

პეტერბურგის ბირჟა 20 ნოემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ. . . .	9380
ბერლინში 100 მარკაში . . .	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,35
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,65
ბირჟის დისკონტი.	5—6$^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა . . .	99$_2/^1$ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ. . . .	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95$^1/_8$ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	457$^3/_4$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . .	336 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . .	292$^3/_4$ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4$^1/_2$% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4$^1/_2$% ტფილ. საადგ. მამ· ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	92$^1/_2$
6% ქუთ. საად მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	— მყიდ.
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ.

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 სათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს — ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ოლგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 4 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ, თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ — 3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი კადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუკსი 1$^1/_2$-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

მიმოსვლა ეტლებისა კავკასიის გზით.

კარეტა ვადიანი გადის ტფილისიდგან კავკავს 7-სა და 8 საათზედ დილით, ღამე ჩერდება მლეთში და კავკავს მიდის საღამოს 7 საათზე

გარდასახადი:

1 კლასით	15 მან.
2 „	10 „
3 „	5 „

ლინეიკა გადის ტფილისიდგან ნაშუადღევის 3 საათზე, ღამე არსად ჩერდება.

გარდასახადი:

1 ადგილისა	6 მ. 80 კ.
2 „	4 „ 80 „

განცხადებანი

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებსენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ხან-ჩოკრაკისა და ჯემეთის

განთქმული ზვრებიდგან ქალაქ ანაპის ახლო (ყუბანის ოლქი, შავი-ზღვის პირათ) ისყიდება ევროპიული ჯიშის ვაზის რქა:

რისლინგისა (rieisling), რომელიც იძლევა მსოფლიოთ განთქმულს თეთრს ღვინოს იაგანისბერგს,

კაბერნესი (Cabernet), რომელიც არა ნაკლებ განთქმულს წითელ ღვინოს დაფიტს იძლევა.

ამ ვაზებს არ ავნებს რთვილი, ყინვას კარგად იტანენ დაუმარხავათ ყველგან, უხვათ მოსავალს იძლევიან ურწყავ ადგილებში და ობი (Mildiu) და ნაცარი (oidium) ნაკლებათ ვნებს, ვინემ საქართველოს ჯიშის ვაზებს, თუნდა საფერავს, როგორც დაკვირვებიდგან ვხედავ ზემოხსენებულ ვენახებში.

მეტადრე ვურჩევ ქართლ-კახელ მევენახეებს.

ფასი:

ათასი რქა . .	4 მან.
ათი ათასი . .	35 მან.
ასი ათასი . .	300 მან.

შეიძლება მეტის დაკვეთაც ამ ფასების დაგვარათ პირველ დეკემბრამდე. ვგზავნი პირველ მარტიდგან. გაგზავნის ხარჯი მყიდველისაა. ბეი ერთი მესამედი. ადრესი აეს:
Анапа (Кубанск. области) Контора садовъ Ханъ-Чокрака и Джемети, Ю. Л Пиленко.

უფროსი მევენახე „ხან-ჩოკრაკისა" და „ჯემეთის" ზვრებისა ვასილ ბიბილაშვილი.

(10—6—9)

გამოვიდა და იყიდება ყველგან

ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოებისა" № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და თითო ცალი ღირს ერთი მან.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომაურისა ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ, Общество распростр. грамотности.**

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნანდვილი

„ოდონტრინი" მ. კ. ლებედევის"

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში — საათფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6—25)



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საგრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

Б. М. МИРИМАНЯНЦЪ

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—8)

Дозволено цензурою Тифлисъ 24 ноября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзэ Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით რედაქტორი ბ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.